პარასკევის ქადაგება

١٤٤٥/٧/٢١هـ 2024/2/2 م

პატივცემული შეიხ
დოქტორი
აბდულ მუჰსინ ბნუ
მუჰამმად ალ-ყაასიმ

სათაურით

ცილისწამების შემთხვევა

a-alqasim.com

ცილისწამების შემთხვევა(1)

ქება-დიდება ალლაჰს, ჩვენ მას ვადიდებათ, მას ვთხოვთ შეწევნას და პატიებას, ალლაჰს შევეფარებით ჩვენი სულებისა და ჩვენი საქმეების სიავისგან, ვისაც ალლაჰი დააყენებს სწორ გზაზე, მას არ ჰყავს გზის ამბნევი, ხოლო ვისაც ალლაჰი აუბნევს გზას, მას არ ჰყავს სწორ გზაზე დამდგენი. ვამოწმებ, რომ არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა, ერთადერთისა, რომელსაც არ ჰყავს თანაზიარი და ვამოწმებ, რომ მუჰამმადი მისი მონა და მოციქულია. ალლაჰმა დალოცოს ის და მიესალმოს მას, მის ოჯახს და ყველა მის საჰაბას უამრავი მისალმებით.

და შემდეგ:

გეშინოდეთ ალლაჰის - ალლაჰის მონებო - ჭეშმარიტი შიშით, გეშინოდეთ მისი აშკარად და ფარულად.

ჰეი, მუსლიმებო:

ალლაჰმა შექმნა ადამიანები და განასხვავა ისინი ერთმანეთისგან. საუკეთესო და მისთვის ყველაზე საყვარელი ადამიანები არიან შუამავლები, შემდეგ მუჰამმად შუამავლის ﷺ საჰაბები, საუკეთესო და ყველაზე დაფასებული ქალები არიან შუამავლის ﷺ ცოლები, ხოლო მისი ყველაზე საყვარელი ცოლი არის მორწმუნეების დედა აიშა(ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი).

ალლაჰის დადგენილი კანონი არის, რომ ვინც მას უყვარს იმას გამოცდის. შეეკითხეს შუამავალს ﷺ: **„ვინ არის ხალხს შორის ყველაზე მეტად გამოცდილი? თქვა: „შუამავლები და შემდეგ, ვინც ყველაზე ახლოსაა მათთან(რწმენით) და შემდეგ, ვინც ყველაზე ახლოსაა მათთან“.** გადმოსცა თირმიზიმ

ჰიჯრიდან მეექვსე წელს მუსლიმებს შეემთხვათ უდიდესი უბედურება, რომლითაც ალლაჰმა გამოსცადა ისინი განკითხვის დღემდე. ეს იმიტომ, რომ

(1) ეს ქადაგება წავიკითხე პარასკევ დღეს, რაჯაბის თვის 21 რიცხვში, 1445 წელს ჰიჯრით, შუამავლის მეჩეთში.

როდესაც შუამავალი ﷺ ბრუნდებოდა ბანილ მუსტალაჰის ბრძოლიდან მას ეხლა აიშა(ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), და როდესაც მიუახლოვდნენ ქალაქს შუამავალმა ﷺ ნება დართო, რომ გასულიყო ის ღამით თავისი საჭიროებისთვის და აიშა გავიდა მოშორებით ფეხით და ჩამორჩა ჯარს. შემდეგ მან აღმოაჩინა, რომ დაკარგა თავისი ყელსაბამი და დაბრუნდა ბანაკში მის მოსაძებნად. აიშას სიტყვებით, - მისი ძლიერ სუსტი წონის გამო პალანკინი(აქლემზე დასადგამი ქალებისთვის დასაჯდომად) აწიეს მხედრებმა და წაიღეს ისე, რომ ვერ მიხვდნენ არის თუ არა მასში აიშა თუ არა. თქვა აიშამ(ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი): **„მე ვიყავი სუსტი და ასაკით პატარა“**. შემდეგ მან იპოვა ყელსაბამი და დარჩა იმ ადგილას, სადაც ჯარი იდგა, რადგანაც იფიქრა, რომ როცა ნახავენ რომ ის არ იჯდა აქლემზე დაბრუნდებიან და მოძებნიან მას იმავე ადგილას. აიშას ძილი მოერია მათ ლოდინში და დაეძინა.

საჰაბა საფვან ბნულ მუ'ატტილს(ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) უყვარდა დიდხანს ძილი და ის ჩამორჩა ჯარს, ხოლო როცა გათენდა დაეწია იმ ადგილს, სადაც ჯარი იმყოფებოდა და დაინახა ადამიანის შავი სილუეტი, რომელსაც ეძინა. მივიდა მასთან და დაინახა, რომ ეს იყო აიშა(ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი). ეს მოხდა იქამდე, სანამ ჰიჯაბის ტარება გახდებოდა სავალდებულო. ის შეტრიალდა აიშასგან და წარმოთქვა ისთირჯა'ი, - : ინნაა ლილლაჰი ვა ინაა ილაიჰი რააჯი'უუნ(ჩვენ ალლაჰს ვეკუთვნით და მასთან დავბრუნდებით), - და აიშას ამ სიტყვების გაგონებაზე გაეღვიძა, და თქვა: **„მე დავმალე ჩემი სახე ჯილბაბით და ვფიცავ ალლაჰს, მას არ უთქვამს ჩემთვის სიტყვა და არ გამიგონია მისგან სიტყვა, გარდა ისთირჯა'ისა“**. თქვა იბნ ალ-ასირმა(ალლაჰმა შეიწყალოს ის): „საფვანი იყო გაბედული, სანდო და კეთილი“, მან დასვა თავისი აქლემი, სანამ აიშა არ დაჯდა მასზე, შემდეგ მათ დაეწიეს ჯარს შუადღისას. თქვა შეიხულ ისლამმა(ალლაჰმა შეიწყალოს ის): „მასთან ერთად მგზავრობა მისთვის - დაკარგვაზე უკეთესი იყო“.

როდესაც თვალთმაქცების თავმა აბდულლაჰ ბნუ აბი იბნ სალულმა დაინახა, რომ აიშამ(ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) დაიგვიანა და ჩამორჩა ჯარს დაიწყო შუამავლის ﷺ წმინდა სახლის წაბილწვა და შეურაცხყოფა. როდესაც ის ჩამოვიდა მედინაში მან დაიწყო ცილისწამება და აიშას(ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) ღირსების შელახვა. მან შეკრიბა მასზე ჭორები და გაავრცელა ქალაქში. და მორწმუნეების დედაზე იქნა გარდმოვლენილი აიათი:

﴿سُبۡحَٰنَكَ هَٰذَا بُهۡتَٰنٌ عَظِيمٞ﴾

„დიდება შენდა(ო, ალლაჰ), ეს აშკარა ცილისწამებააო“. (ან-ნურ:16)

იმიტომ რომ ის, რაც მას შეემთხვა არ იყო საეჭვო შემთხვევა, არამედ ეს იყო უბრალოდ ახალგაზრდა გოგოს ჩამორჩენა თავისი კომპანიისგან, თქვა აზ-ზაჰაბიმ(ალლაჰმა შეიწყალოს ის): **„იმ დროს ის იყო მხოლოდ 12 წლის“.** ხოლო საჰაბა, რომელიც მას შეხვდა კარგად მოექცა მას, რომ დააბრუნა ის მათთან, ვისთან ერთადაც იმყოფებოდა.

როდესაც აიშა(ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) დაბრუნდა მედინაში გახდა ძლიერ ავად და არ გამოსულა სახლიდან ერთი თვის განმავლობაში, და მან არაფერი იცოდა იმის შესახებ, თუ რას ლაპარაკობდნენ მასზე, მაგრამ ის ხედავდა, რომ შუამავალი ﷺ მას ისე თბილად არ ექცეოდა, როგორც აქამდე ექცეოდა ხოლმე მისი ავად ყოფნის დროს. თქვა: **„ჩემი ტკივილი მასში იწვევდა ეჭვს, რადგანაც მე არ მინახავს შუამავლისგან ﷺ ის სითბო, რომელსაც ის იჩენდა ჩემს მიმართ, როდესაც ავად ვიყავი აქამდე. როდესაც მოდიოდა ჩემთან ესალმებოდა(სახლში მყოფებს) და ეკითხებოდა: - როგორ არის ის?“.**

როდესაც ის გამოჯანმრთელდა უმმ მისტაჰმა(ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) აცნობა მას იმ ცილისწამებაზე, რასაც მასზე ლაპარაკობდნენ მედინაში, აიშამ თქვა: **„და დამემატა ავადმყოფობა ავადმყოფობაზე“.** როდესაც მასთან შევიდა შუამავალი ﷺ უთხრა: „ნებას მომცემ, რომ წავიდე ჩემს მშობლებთან? - თქვა: მაშინ მე მინდოდა, რომ მომესმინა მათგან , - და შუამავალმა ﷺ ნება მომცა, რომ წავსულიყავი.

მოვედი ჩემს მშობლებთან და ვკითხე დედაჩემს: „ო, დედაჩემო რას ლაპარაკობენ ჩემზე?“. დედამ აცნობა მას, რასაც ლაპარაკობდა ხალხი და მისი ტკივილი, რომელიც იყო გამოწვეული მისი ღირსების გამო უფრო მეტად გაძლიერდა. ყველაზე ძვირფასი, რასაც ქალი ფლობს მისი რელიგიის შემდეგ არის - ღირსება, და ეს არის მისი სილამაზე და დაფასება, თქვა აიშამ: **„და მე ვიტირე ორი ღამის განმავლობაში, სანამ არ გამითავდა თვალებზე ცრემლი და სანამ არ ჩამეძინა ძლიერი დარდის გამო-, ჩემი მშობლები ფიქრობდნენ, რომ ტირილი გამანადგურებდა“.**

ამ ცილისწამების სიდიდის გამო მორწმუნე ქალები ტიროდნენ, თქვა აიშამ(ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი): **„სანამ ის ორი - ანუ მშობლები -**

ჩემთან ისხდნენ და მე ვტიროდი, მოვიდა ქალი ანსარებიდან და ნებართვა მთხოვა, რომ შემოსულიყო ჩემთან, მე ნება მივეცი, ის დაჯდა და ჩემთან ერთად ატირდა".

რაც შეეხება ჩვენს მოციქულ მუჰამმადს ﷺ , ის ძალიან დარდობა ამ ამბის გამო და არავისთან საუბრობდა მასზე, ასევე მის ტკივილს ისიც აძლიერებდა, რომ ზეშთაგონება იგვიანებდა და ამ შემთხვევაზე ალლაჰმა არაფერი მოუვლინა მას ერთი თვის განმავლობაში. შუამავალმა ﷺ მოუხმო თავისთან ალი იბნ აბი ტაალიბს და უსამა იბნ ზეიდს (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი), რომელთაც ყველაზე კარგად იცნობნენ მის ოჯახს, რომ განეხილა მათთან თავის ოჯახთან(აიშასთან) განშორების საქმე. მათ შეეკითხეს აიშას მოსამსახურეს მის შესახებ: „ო ბარირა, ხომ არ დაგინახავს რაიმე საეჭვო აიშასთან?" და ასევე შეეკითხეს მორწმუნეების დედას ზაინაბ ბინთ ჯაჰშს: „რამე ხომ არ იცი აიშაზე, ან რამე ხომ არ დაგინახავს?". და ორივე მათგანმა უარყვეს და თქვეს, რომ აიშაში არაფერი ცუდი და საეჭვო არ შეუმჩნევიათ.

შემდეგ შუამავალი ﷺ შევიდა აიშასთან და მის მშობლებთან, მიესალმა მათ, შემდეგ დაჯდა და აიშა გადმოსცემს: „შუამავალმა ﷺ წარმოთქვა შაჰადა, როდესაც დაჯდა, ხოლო შემდეგ თქვა: **„და შემდეგ, ო აიშა, ჭეშმარიტად ჩემამდე მოაღწია ამბავმა შენზე ასე და ასე, თუ შენ უდანაშაულო ხარ ალლაჰი გაგანთავისუფლებს, ხოლო თუ შენ დამნაშავე ხარ ამ ცოდვაში, მაშინ შესთხოვე ალლაჰს პატიება და მოინანიე, ჭეშმარიტად, თუ მონა ჩაიდენს ცოდვას და შემდეგ მოინანიებს ალლაჰი პატიობს მას"**. როდესაც შუამავალმა ﷺ დაამთავრა საუბარი - იმ საშინელების გამო, რაც მოვისმინე **„დაშრა ჩემი ცრემლები იქამდე, სანამ ერთ წვეთსაც ვეღარ ვგრძნობდი თვალებზე"**

ამის შემდეგ აიშა მიუბრუნდა თავის მამას, რომ ეთხოვა მისთვის დახმარება და უთხრა: „უპასუხე ალლაჰის შუამავალს ﷺ ჩემს მაგივრად, მან თქვა: ვფიცავ ალლაჰს, არ ვიცი რა ვუპასუხო ალლაჰის შუამავალს ﷺ".

შემდეგ მიუბრუნდა დედამისს და სთხოვა იგივე და უთხრა: „უპასუხე ალლაჰის შუამავალს ﷺ ჩემს მაგივრად, მან უთხრა: ვფიცავ ალლაჰს, არ ვიცი რა უნდა ვუთხრა ალლაჰის შუამავალს ﷺ.

ამიტომაც მან მიმართა იმას, ვინც არის ზეცაში და მიანდო მას თავისი საქმე და უთხრა მათ: **„ვფიცავ ალლაჰს თქვენ უსმენდით ამას ჩემზე მანამ, სანამ არ დაიჯერეთ ის, და მე რომ მეთქვა: მე უდანაშაულო ვარ - და ალლაჰმა იცის, რომ უდანაშაულო ვარ - თქვენ არ დამიჯერებდით ამას, და რომ მეთქვა, რომ**

დამნაშავე ვარ - და ალლაჰმა იცის, რომ უდანაშაულო ვარ - თქვენ დამიჯერებდით ამას - და ვფიცავ ალლაჰს, მე არ ვიცი ჩემზე და თქვენზე უფრო შესაფერისი მაგალითი, გარდა იმისა, რაც თქვა აბუ იუსუფმა:

﴿فَصَبۡرٞ جَمِيلٞۖ وَٱللَّهُ ٱلۡمُسۡتَعَانُ عَلَىٰ مَا تَصِفُونَ﴾

„მე ლამაზი მოთმინება მმართებს და მხოლოდ ალლაჰია მფარველი იმისაგან, რასაც აღმიწერთ". (იუსუფ: 18)

შემდეგ მე გადავბრუნდი და დავწექი ჩემს საწოლზე".

ასე ინახავდა აიშა თავის რელიგიას და იცავდა საკუთარ ღირსებას. ის მხოლოდ კარგს ფიქრობდა ალლაჰზე, და მან თქვა: „ვფიცავ ალლაჰს, მე ვიცოდი, რომ როცა მე უდანაშაულო ვიყავი ალლაჰი დამიცავდა და გამამართლებდა", და ალლაჰი მოექცა მას ისე, როგორი აზრიც ჰქონდა მას თავის ღმერთზე. მან თქვა: „და ვფიცავ ალლაჰს შუამავალს ﷺ არ მოეწონა მათი შეხვედრა და არავინ გასულა მისი სახლიდან იქამდე, სანამ ალლაჰმა, დიდებულია ის და ამაღლებული, არ გარდმოგზავნა აიათი, გაუხარდა შუამავალს ﷺ და გაეცინა. მისი პირველი სიტყვები იყო: **გიხაროდეს ო აიშა, რადგანაც ალლაჰმა გაგამართლა".**

მისი ღვთისადმი მორჩილების გამო ალლაჰმა დაიცვა ის, შეინახა მისი ღირსება და უკვდავყო მისი სიწმინდის ხსოვნა. თქვა აიშამ(ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი): „ვფიცავ ალლაჰს მე არ მიფიქრია, რომ ჩემს საქმეზე გარდმოგზავნილი იქნებოდა ზეშთაგონება, რომელსაც წაიკითხავდნენ, რადგანაც ჩემი საქმე იმდენად საზიზღარი იყო ჩემთვის, რომ მეფიქრა, რომ დიდებული ალლაჰი ისაუბრებდა მასზე და წარმოგზავნიდა წასაკითხად". ასე რომ, ალლაჰმა წარმოაჩინა შუამავლის ﷺ და მისი ოჯახის წევრების საქმე ხალხის წინაშე და დაანახა, რომ მასთან მისი ოჯახი დაფასებულია და ის იქნება მათი დამცველი. რაც შეეხება თვალთმაქცს, რომელმაც ცილი დასწამა აიშას, ალლაჰმა შეპირდა მას უდიდესი სასჯელი, თქვა ყოვლადძქებულმა:

﴿وَٱلَّذِي تَوَلَّىٰ كِبۡرَهُۥ مِنۡهُمۡ لَهُۥ عَذَابٌ عَظِيمٞ﴾

„და მათგან, რომელმაც ამის დიდი ნაწილი აიღო თავის თავზე, მოიგონა და გაავრცელა, მისთვისაა გამზადებული უდიდესი სასჯელი". (ან-ნურ: 11)

და შემდეგ, ჰეი, მუსლიმებო:

დიდებულია ალლაჰთან ის, რაც თქვა მან შუამავლის ﷺ ცოლზე, თქვა ალლაჰმა:

﴿وَتَحۡسَبُونَهُۥ هَيِّنٗا وَهُوَ عِندَ ٱللَّهِ عَظِيمٞ﴾

„მიიჩნევდით ამას მცირედად მაშინ, როცა იგი უდიდესია ალლაჰის წინაშე“. (ან-ნურ: 15)

თვალთმაქცობა, რომელიც იყო შუამავლის ﷺ ეპოქაში ჩანს ამ აიათში. თქვა იბნ ალ-ყაიიმა(ალლაჰმა შეიწყალოს ის): „ჭეშმარიტად შუამავალი ﷺ იყო მიზანი, რომ მიეყენებინათ მისთვის ზიანი, და ეს ისტორია არის გამოცდა და განსაცდელი შუამავლისთვის ﷺ და ყველა მუსლიმისთვის განკითხვის დღემდე; იმისთვის, რომ ამ ისტორიით აამაღლოს ალლაჰმა ზოგიერთი ხალხი და დაამდაბლოს - სხვები“.

უბედურებას მოსდევს სიადვილე, მორწმუნე იღებს სიკეთეს მხოლოდ უბედურებით, თქვა ალლაჰმა:

﴿لَا تَحۡسَبُوهُ شَرّٗا لَّكُمۖ بَلۡ هُوَ خَيۡرٞ لَّكُمۡۚ﴾

„ნუ მიიჩნევთ მას სიავედ თქვენთვის, არამედ იგი სიკეთეა თქვენთვის“. (ან-ნურ: 11)

ასეთი იყო აიშას(ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) შედეგი, ალლაჰმა გარმოავლინა მასზე აიათი, რომელიც იკითხება განკითხვის დღემდე და გამოარჩია ის სხვა ქალებს შორის მისი კეთილშობილებით.

თქვა შუამავალმა ﷺ: **„ჭეშმარიტად, აიშას უპირატესობა სხვა ქალებზე ისეთივეა, როგორც სარიდის უპირატესობა სხვა საჭმელზე“.** შეთანხმებული

ალლაჰმა აჩუქა მას მკვეთრი მეხსიერება, გამჭრიახი გონება და უხვი ცოდნა. ჰადისები, რომლებიც გადმოცემულია აიშას მიერ შუამავლისგან ﷺ იმაზე უფრო მეტია, ვიდრე მართლმორწმუნე ხალიფების მიერ გადმოცემული ერთად, იმის გამო, რომ ისინი ძლიერ დაკავებული იყვნენ და არა იმიტომ, რომ ისინი ცოტას უსმენდნენ შუამავალს ﷺ. ამიტომაც, შარიათის ჰადისების მეოთხედი გადმოცემულია აიშას მიერ ამ უმმეთისთვის. თქვა იბნ ქასირმა(ალლაჰმა შეიწყალოს ის): „არ ყოფილა ამ უმმეთში აიშას მსგავსი არავინ, თავისი მახსოვრობითა და ცოდნით, მჭევრმეტყველობითა და გონიერებით, მან ცოდნითა და სიბრძნით აჯობა სხვა ქალებს, მას ებოძა კანონის გაგების ნიჭი, პოეზიის დაზეპირების ნიჭი და ის იყო შარიათის მეცნიერებების ჭურჭელი“.

ალლაჰმა დაავალდებულა ყველა მუსლიმი, რომ უყვარდეს ის. შუამავალმა ﷺ უთხრა ფატიმას(ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი): **„ჩემო გოგო, არ გინდა რომ გიყვარდეს ის, ვინც მე მიყვარს?** უპასუხა: რა თქმა უნდა, თქვა: **მაშინ გიყვარდეს ეს“,** - იგულისხმა აიშა. შეთანხმებული ჰადისი.

შუამავალი ﷺ მოკვდა მის მკერდზე თავდადებული, მის დღეს და მის სახლში, და ის არის მისი ცოლი ამქვეყნად და აახირეთშიც. და არის რაიმე ამაზე უფრო საამაყო?

ალლაჰს შევეფარები ქვით ჩაქოლილი ეშმაკისგან

﴿وَمَن يَقْنُتْ مِنكُنَّ لِلَّهِ وَرَسُولِهِۦ وَتَعْمَلْ صَٰلِحًا نُّؤْتِهَآ أَجْرَهَا مَرَّتَيْنِ وَأَعْتَدْنَا لَهَا رِزْقًا كَرِيمًا﴾

„ხოლო ვინც მორჩილი იქნება თქვენგან ალლაჰისა და მისი შუამავლისა და სიკეთეს გააკეთებს, ვუბოძებთ მას ორმაგ საზღაურს და გავუმზადეთ მას კურთხეული სარჩო“. (ალ-აჰზაბ: 31)

მეორე ქადაგება

დიდება ალლაჰს მისი სიკეთისთვის, მადლობა მას წარმატებისა და დახმარებისთვის. ვამოწმებ, რომ არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა, ერთადერთისა, რომელსაც არ ჰყავს თანაზიარი მის დიდებულ საქმეში, და ვამოწმებ, რომ მოციქული მუჰამმადი მისი მონა და შუამავალია, ალლაჰმა დალოცოს ის და მიესალმოს მას, მის ოჯახს და ყველა მის საჰაბას უამრავი მისალმებით.

ჰეი, მუსლიმებო:

ალლაჰმა მისცა მორწმუნეებს რამდენიმე ქადაგება, ცილისწამების შემთხვევის შემდეგ:

﴿يَعِظُكُمُ ٱللَّهُ أَن تَعُودُواْ لِمِثۡلِهِۦٓ أَبَدًا إِن كُنتُم مُّؤۡمِنِينَ﴾

„ალლაჰი გაფრთხილებთ, რომ აღარ დაუბრუნდეთ რაიმე ამის მსგავსს აღარასოდეს, თუკი ხართ მორწმუნენი!“ (ან-ნურ: 17)

ამ მოწოდებიდან არის: რომ არ იფიქროთ სუფთა და კეთილშობილ ხალხზე, გარდა კარგისა, თქვა ალლაჰმა:

﴿لَّوۡلَآ إِذۡ سَمِعۡتُمُوهُ ظَنَّ ٱلۡمُؤۡمِنُونَ وَٱلۡمُؤۡمِنَٰتُ بِأَنفُسِهِمۡ خَيۡرًا وَقَالُواْ هَٰذَآ إِفۡكٌ مُّبِينٌ﴾

„როცა ეს გაიგონეთ\ რატომ არ დაფიქრდნენ მორწმუნე კაცები და ქალები თავისთვის კარგად და არ თქვეს: – ეს ცხადი სიცრუეაო!“ (ან-ნურ: 12)

თუ სულმა რამე ცუდი იფიქრა და მის გულში ეჭვი და ცუდი აზრები დაისადგურებს, მაშინ არ უნდა თქვას ის. თქვა ალლაჰმა:

﴿وَلَوۡلَآ إِذۡ سَمِعۡتُمُوهُ قُلۡتُم مَّا يَكُونُ لَنَآ أَن نَّتَكَلَّمَ بِهَٰذَا﴾

„და როცა ეს გაიგონეთ\ რატომ არ თქვით: არ გვეკადრება\ რომ ვისაუბროთ ამაზე“. (ან-ნურ: 16)

როდესაც შუამავალმა ﷺ შეეკითხა ზაინაბ ბინთ ჯაჰშს აიშაზე(ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი), მან თქვა: **„ო შუამავალო, ვფიცავ ალლაჰს, მე არაფერი ვიცი მასზე, გარდა სიკეთისა“.**

და ვინც დაიცვა თავისი ენა და სმენა მუსლიმებზე ცილისწამებისგან; მან მიაღწია ბედნიერებას, გულის სიმშვიდესა და ალლაჰის კმაყოფილებას.

და შემდეგ იცოდეთ, რომ ალლაჰმა გიბრძანათ დალოცვა...

خطبة الجمعة

١٤٤٥/٧/٢١هـ 2024/2/2 م

فضيلة الشيخ :

د. عبد المحسن بن محمد القاسم

إمام وخطيب المسجد النبوي الشريف

بعنوان

حادثة الإفك

مترجمة باللغة الجورجية

a-alqasim.com